დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე
(ლიეტუვა)

ლიეტუვური პოლიფონიური სუტარტინესის სინკრეტიზმი: სიმღერასა და ქორეოგრაფიას შორის ურთიერთობა შესრულების პროცესში

ლიეტუვური პოლიფონური სიმღერა სუტარტინესი სინკრეტული ჟანრია, რომელიც აერთიანებს არა მხოლოდ მუსიკას, პოეზიასა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, არამედ განსაკუთრებულ ქორეოგრაფიასაც. სუტარტინესის არქაული ხასიათი, რომელიც, უმეტესად, წმინდა რიტუალებს უკავშირდება, საჭიროებს ქორეოგრაფიის უფრო ფართო გაგებას. ეთნოქორეოგრაფია შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცერემონიის ნაწილი – ცეკვას ან რიტუალურ ქმედებას მაგიურ მიზანიც აქვს (Urbanavičienė, 2000). აქედან გამომდინარე, სუტარტინესის შემთხვევაში, აუცილებელია საუბარი არა მხოლოდ დამახასიათებელ საცეკვაო ფიგურებზე, არამედ სხვა სახის მოძრაობებზეც (რიტუალური სიარული, სამუშაო პროცესის იმიტაცია, მღერის დროს მზისადმი პერიოდული თავის დაკვრა[1], (ვიდემაგ. 1) და სხვ.). სხვადასხვა მოძრაობის ან საცეკვაო ფიგურების განხილვისას, არ უნდა დაგვავიწყდეს რიტუალური კონტექსტი და ამ სიმღერების კოსმოლოგიური კონცეფცია.

ზმნა *tūtavimas* („tooting“, ქართ. „სტვენა“) (სიტყვიდან *tūtuoti* – „to toot, რომელსაც ხშირად იყენებენ სუტარტინესთან მიმართებაში), შეიძლება, ჩაითვალოს **სუტარტინესის სინკრეტული ხასიათის** დამადასტურებელ ფაქტად, რომელიც გამოხატავს მისი შესრულების მთელ მრავალფეროვნებას: სიმღერა, ცეკვა და დაკვრა (ჩაბერვა) ჩასაბერ საკრავებზე, როგორებიცაა: *skudučiai* (პანის ფლეიტა), ასევე *ragai* (ხის საყვირები) და *daudytės* (გრძელი, ცილინდრული ხის საყვირები). აღნიშნული სინკრეტიზმის გამოხატვა ერთი და იგივე სიტყვით ღრმა ფესვებს ატარებს (Račiūnaitė-Vyčinienė, 2024:292). შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ სანსკრიტული გამოთქმა *taurya-traya* აღნიშნავს „მუსიკას, სიმღერასა და ცეკვას“ (Macdonell, 112), ანუ მაგიურ მუსიკალურ ტრიადას.

თუმცა, ყველა მაგალითი არ აჩვენებს სუტარტინესის სინკრეტიზმს –

---

[1] ჭვავის მკის ერთ-ერთი სუტარტინესის მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა იმ გამორჩეული რიტუალური მოძრაობების შესახებ, რომლებიც სამუშაოს დასრულების შემდეგ სრულდებოდა: „მზის ჩასვლისას, ქალები თავიანთ ძნებს გროვებად აწყობდნენ და ნამგლებს მათ გვერდებზე არჭობდნენ. შემდეგ მზისკენ იხედებოდნენ და მადლობას უხდიდნენ: გულხელდაკრეფილნი სხდებოდნენ, მზეს უმზერდნენ, სხეულით მოძრაობდნენ, მზის წინაშე თავს ხრიდნენ და მღეროდნენ.“ (SlS 92b).

ბევრ მათგანს აკლია მელოდია ან ქორეოგრაფიული აღწერა. სუტარტინესის დიდი ნაწილი ჩაწერილია სამუშაო, რიტუალური ან საცეკვაო მოძრაობების აღწერის გარეშე, თუმცა ზოგიერთი თანამედროვე ვარიანტი ადასტურებს ამ ელემენტების არსებობას წარსულში. მიუხედავად იმისა, რომ ცეკვის დეტალური აღწერა არ არსებობს, ხშირად ვხვდებით ძალიან მოკლე შენიშვნებს: „ცეკვა“, „სიარული“ და სხვ.

სუტარტინესი არის რიტუალების ნაწილი და მათი ექვივალენტი. ზოგიერთი საცეკვაო სუტარტინესი დაკავშირებულია კონკრეტულ რიტუალთან. რამდენიმე მათგანს ვხვდებით **საქორწილო** სუტარტინესში: „სუტარტინესს მღეროდნენ ახალდაქორწინებულთა გასაღვიძებლად დილას. ოთხი ქალი ხელჩაკიდებული მღეროდა და ცეკვავდა; ამის შემდეგ პატარძალი გამოვიდოდა და მომღერლები მას *karvolius*-ს – საქორწილო ნამცხვარს – სთავაზობდნენ“ (SlS II: 705). ჩაწერილია, ასევე, რამდენიმე ***kupolinės***[2] საცეკვაო სუტარტინესი (SlS 541; 547). თუმცა, აქ მხოლოდ ცეკვაა მოხსენიებული, მოძრაობების დაკონკრეტების გარეშე. მხოლოდ ერთ, kupolinė sutartinė-ს ახლავს ცეკვის აღწერა: „წმ. იოანეს ღამის ცეკვა. ორი გოგონა ხელჩაკიდებული ცეკვავდა: პირველი წყვილი მღეროდა I ნაწილს, მეორე – II ნაწილს. სიმღერის პირველი ნაწილი სრულდებოდა ნაბიჯებით სიარულისას, მეორე ნაწილი – ტრიალისას“ (SlS 555).

გაზაფხულზე, ჭვავის ყანაში სტუმრობისას, ანუ ყანის გარშემოვლისას, სრულდებოდა ***paruginės*** სიმღერები, რომლებიც აშკარად სინკრეტულ ხასიათს ატარებდა[3]. ეს იყო რიტუალი, რომელიც მიზნად ისახავდა კარგი მოსავლის უზრუნველყოფას და ჭვავის დაცვას[4]. მომღერალთა მონათხრობის მიხედვით, ისინი, ჩვეულებრივ, ორ ჯგუფად მიდიოდნენ. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით გავრცელდა აღმოსავლეთ ლიეტუვაში ჭვავის რიტუალთან დაკავშირებული სპეციფიური მღერის ხერხები: ანტიფონური მღერა – არქაული დიალოგური გალობა[5] (აუდიომაგ. 1), კანონი „dviejõs“ („წყვილში“ – მღერა ორი მომღერლით, და არა სამით, როგორც ჩვეულებრივ) (აუდიომაგ. 2) და სხვ.

სელის დამუშავების სუტარტინესს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტრადიციულ, სოფლის კულტურაში. ზოგიერთი მათგანი მოძრაობების საშუალებით განასახიერებდა მთელ სამუშაო პროცესს. კონკრეტული

---

[2] კუპოლინეს სუტარტინესები (Kupolinės sutartinės) არის ჰიმნები, რომლებიც იმღერებოდა წმ. იოანეს დღეს, ზაფხულის მზებუდობის დროს, სამკურნალო ბალახების შეგროვებისას.

[3] ეს რიტუალი აღმოსავლეთ ლიეტუვაში სრულდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე.

[4] ეთნოლოგ დოვილე კულაკაუსკიენეს თქმით, დამცავი ძალა მოდიოდა მინდვრების გარშემოვლიდან. წრეს დამცავი ფუნქცია მიეწერებოდა, ხოლო ყურებას, ლაპარაკსა და სიმღერას ჯადოსნური ძალა ჰქონდა, რაც მოსავლის წარმატებას უზრუნველყოფდა (Kulakauskienė 1999:106).

[5] ეს არის ანტიფონური მღერის ვარიანტი – ორი ჯგუფი მონაცვლეობით ასრულებს ლექსის ნაწილებს. შემსრულებელთა ერთი ჯგუფი ტექსტს „ირჩევს“, მეორე კი უცვლელი რეფრენით პასუხობს.

მოქმედებების შესრულებისა და გარკვეული სიტყვების გამღერების (იმიტაციური და სიტყვიერი მაგიის გამოყენებით) მიზანი იყო კარგი მოსავლისა და სამუშაოს საბოლოო პროდუქტის – ქსოვილის – მიღება. „სელის წუხილის“[6] სიმღერა და მოქმედებები ასახავს სელის ძირითად სასიცოცხლო პროცესებს: თესვას, აღმოცენებას, ზრდას და სხვ.; ისინი სრულდებოდა თითოეული ეტაპის ხარისხის წინასწარ უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი ასეთი სუტარტინესია **Šiaip sėjau linelius** („როგორ დავთესე სელი“) (SIS 1309b)[7] (ვიდეომაგ. 2).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სელის დამუშავებასთან დაკავშირებული საცეკვაო სუტარტინესები, რომლებიც აერთიანებს რეფრენებს: **trep trepo, trepu treputėla** და სხვ. ძნელია თქმა, ეს რეფრენები კონკრეტულ საცეკვაო ხერხს აღწერს (**trepsėti** – „თელვა“) (აუდიონიმ. 3) თუ უფრო ღრმა მნიშვნელობის მატარებელია. შესაძლებელია, ეს სუტარტინესები უკავშირდებოდეს ძველ წეს-ჩვეულებებს ან რწმენებს, რომელთა კვალი ჯერ კიდევ არსებობს. მაგალითად, გაზაფხულზე, სეინისა და პუნსკის რეგიონებში[8], გოგონები და ქალები XX საუკუნის დასაწყისშიც კი დადიოდნენ და თელავდნენ აღმოცენებულ სელს. მათ სჯეროდათ, რომ ამით აუმჯობესებდნენ მომავალი სამუშაოს ხარისხს. (PSK:124). ეს ჩვეულება მიუთითებს ზოგიერთი საცეკვაო სუტარტინესის – “Trepute martela” (SIS 1300; 1305) და “Trep trepo, lelijo” (SIS 1314; 1316) – შესაძლო ძირითად ფუნქციაზე. განმეორებითი რეფრენები “trepu treputėla” და “trep trepo” (ისევე, როგორც ფეხის ნაბიჯები), სავარაუდოდ, მიუთითებს მათ ყოფილ კავშირზე სელის კულტურების რიტუალურ თელვასთან[9].

აქამდე განვიხილე რიტუალური კონტექსტი, კონკრეტულ საცეკვაო ნიმუშებსა და სიმღერას შორის ურთიერთმიმართების გარეშე. როგორც უკვე

---

[6] „მცენარის ცხოვრება“ არის მოტივი, რომელიც ასახავს გარკვეული მცენარეების ცხოვრების ეტაპებს და გავრცელებულია ბევრ ხალხში. ლიეტუვურ ფოლკლორში ის დაკავშირებულია ქვავის, ყაყაჩოს, სვიის, კანაფისა და სხვა კულტურებთან. ყველაზე პოპულარულია სელის „ცხოვრების“ მოტივი, ე.წ. „სელის წუხილი“ („lino muka“) (ვრცლად იხ.: Račiūnaitė-Vyčinienė, 1999; 2024:261-267, Toporov, 2008:235-251; Kensminienė, 2006, და სხვ.).

[7] შესრულების ფორმა ასეთია: ერთი ქალი მეორის წინ დგება და ამბობს: „ასე დავთესე, ასე დავხანი“, თან ასრულებს დასახელებული სამუშაოს იმიტაციას. ოთხი მოთამაშიდან ორი დგას, ორი ცეკვავს. როცა მღერიან I ნაწილს, ერთი ბოლოდან მეორემდე მიაბიჯებენ. როცა მღერიან „დავთესე“, ხელებით აჩვენებენ თესვას; სიტყვებზე „როგორ გამოვქაჩე“ – ქაჩავენ; სიტყვებზე „როგორ შევკარი“ – თითქოს ძნას ხელებს ხვევენ; სიტყვებზე „როგორ დავაწყვე“ – რიტმულად აწყობენ; ხოლო სიტყვებზე „როგორ დავამტვრიე“ – სახელოებს ისე იქნევენ, თითქოს საცეხველით დარტყმებს ასრულებენ.

[8] ლიეტვური ეთნიკური მიწები დღევანდელი პოლონეთის ტერიტორიაზე, პოდლასის პროვინციაში.

[9] რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა *Trepute martela*-ს ცეკვის მნიშვნელობის შესახებ კონკრეტული განმარტებები შემსრულებლებისგან არ არსებობს, სხვა ინტერპრეტაციებიც შესაძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სელის დამუშავებასთან დაკავშირებული *sutartinės*-ის შესრულებაში არსებული სინკრეტიზმი, როგორც ზემოთ იქნა განხილული, მიუთითებს აგრარული, აპოტროპეული (ბოროტისაგან დაცვის) და სიმპათიკური (მსგავსების) მაგიის ელემენტებზე.

ვახსენე, რიტუალური ცეკვის კონკრეტული აღწერილობა იშვიათია. სხვათა შორის, თითქმის ორი ათასი სუტარტინესიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია სამტომეულში („Sutartinės“, SlS I–III), ბევრს საერთოდ არ აქვს კომენტარი. თუმცა, მათი თავდაპირველი კავშირი ცეკვასთან ვლინდება აქცენტირებულ რიტმში, ხშირ სინკოპირებულ ფიგურებში, სიმღერის დროს ხმების „გადახლართვაში“ და სხვ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი სიმღერის სტილი შეესაბამება გარკვეულ საცეკვაო ფიგურებს და პირიქით – ზოგჯერ საცეკვაო ფიგურა „ადაპტირდება“ სიმღერის ჩვეულ სტილთან.

ცეკვის ურთიერთობა სასიმღერო მეთოდებთან. სუტარტინესი, როგორც წესი, იმღერებოდა ორი, სამი ან ოთხი ქალის მიერ. მომღერალთა რაოდენობა განსაზღვრავს ამ მუსიკის ტიპების კატეგორიზებას: *dvejinės* („ორმაგი“), *trejinės* („სამმაგი“) და *keturinės* („ოთხმაგი“). *Trejinės* სრულდება კანონის პრინციპით, ხოლო *dvejinės* და *keturinės* – კონტრაპუნქტულად.

საცეკვაო *trejinės* გამოირჩევა მუსიკის, ტექსტისა და მოძრაობის განსაკუთრებულად მოქნილი ურთიერთობით. ქორეოგრაფიული შესრულება ავლენს კანონის პრინციპსაც – თითოეული შემსრულებელი წინას შემდეგ იმეორებს მელოდიის გარკვეულ ნაწილს, სრიალისებური მოძრაობით, ფეხის ბაკუნით, ტრიალით და ა.შ. ორი განსხვავებული რიტმი ერთმანეთის პარალელურად შეიგრძნობა.

Trejinės, ჩვეულებრივ, **იცეკვებოდა წრეში** (ტრიალი ხელების იდაყვებით გადაჯაჭვულ მდგომარეობაში, ან „გადახლართვით“, ზოგჯერ ერთმანეთთან შეხების გარეშე და სხვა, მსგავსი ფორმებით). მონაწილეთა რაოდენობა, ამ შემთხვევაში, მკაცრად შეზღუდული არ იყო; მაგალითად, შეიძლებოდა, სამი ჯგუფის მონაწილეობა. საცეკვაო კომპოზიციები მრავალფეროვანი იყო:

1. ცარიელი წრე, რომელიც მოიცავდა: (ა) ცეკვას წრეში გადაჯაჭვული ხელებით ან საერთოდ შეხების გარეშე (ვიდეომაგ. 3, 4) ან (ბ) ფიგურაციულ მოძრაობებს წრეში[10] (ვიდეომაგ. 5);
2. წრე შუაგულით;
3. მოძრაობა ცენტრისკენ და უკან, ასევე სხვა ვარიანტები (Urbanavičienė, 2009:113).

საცეკვაო „სამეული მეოთხით“ (*trejinės keturiose*) არის სტილი, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი *trejinės*-ისგან მეოთხე შემსრულებლის ჩართვით, რომელიც მესამე შემსრულებლის შემდეგ ერთვება. სიმღერის ეს სტილი სინკრეტულად უკავშირდება ცეკვას, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ოთხ შემსრულებელს. მაგალითად: *Užumine Jurgelis martelai mįsłį* („იურგელისი იგონებს თავსატეხს პატარძლისთვის“) (SlS 1358), **„ვარსკვლავის“ ფორმის**

---

[10] საცეკვაო *trejinės* მაგალითია *Išmivedi vedi* („გამოიყვანე წასაყვანად“)(SIS 1377). აქ მოცეკვავეები წრეში მოძრაობენ, ერთმანეთის მიყოლებით, ხტუნვით აჩვენებენ, როგორ ცეკვავს თხა („თხა“ აჩვენებს, როგორ ცეკვავს დედა ან მამა).

ცეკვა (ვიდეომაგ. 6). ამ უკანასკნელში მოცეკვავეები დგანან ერთმანეთის წინ „ვარსკვლავის“ („žvaigždutė“) ფორმით. ***ხელჩაკიდებული მოცეკვავეები ხელებს აჯვარედინებენ და მხრის სიმაღლეზე სწევენ. „ვარსკვლავი“ მუდმივად ბრუნავს და იცვლის მიმართულებას თითოეულ სტროფში. მოცეკვავეები მღერიან რეფრენს შორისდებულებით Čiutela, čiutūte***, დადიან, ბაკუნობენ, ***ფეხებს ასრიალებენ და ოდნავ კოჭლობენ. ამრიგად, ცეკვის წყალობით***, *trejinė* გარდაიქმნება *trejinė keturiose*-დ („სამეული მეოთხით“) (სუტარტინესის ცეკვის სიმბოლიზმის შესახებ იხ. ქვემოთ).

ზოგიერთ კონტრაპუნქტულ, პოლიფონიურ სუტარტინესს (***dvejinės keturiose*** – „ოთხი ორეული“ და ***keturinės*** – „ოთხეული“) ახასიათებს მოძრაობები უკუსვლით, როდესაც ორი წყვილი მონაცვლეობით (ანტიფონურად) ასრულებს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნაწილებს[11] (ვიდეომაგ. 7, 8). მიუხედავად ამისა, ზოგიერთ *dvejinės keturiose*-სა და *keturinės*-ს ბევრი საერთო აქვთ *trejinės*-თან, მაგალითად: წრე, „ვარსკვლავი“ ან წყვილებით წრეში მოძრაობა (ვიდეომაგ. 9, 10). მხოლოდ, ამ შემთხვევაში, მოძრაობები არ სრულდება კანონის პრინციპით.

სუტარტინესისა და კოსმოლოგიის ურთიერთობა. ამ სტატიაში, ჩემი მიზანი არ არის ცეკვის ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვა, ამიტომ ყურადღება გავამახვილე მხოლოდ რამდენიმე, ტიპურ საცეკვაო ფიგურაზე. უფრო მეტად მაინტერესებს ძირითადი საცეკვაო ნახაზების სიმბოლიზმი. პირობითად, ისინი შეიძლება განისაზღვროს, როგორც **წრე** და **კვადრატი.**

სინამდვილეში, **წრის ფორმა** შესაფერისია თითქმის ყველა სუტარტინესის მუსიკის აღწერისთვის. სუტარტინესს თითქოს დასასრული არ აქვს (არ აქვს საბოლოო საკადანსო ფორმულა). შემთხვევითი არ არის, რომ მათ ზოგჯერ *apskritos* – „მრგვალი“ ეწოდება (Žebrytė, 1988:84). ეს, ასევე, დაკავშირებულია მომღერალთა წრეში განლაგებასთან (LLIM 291). სუტარტინესის მრავალი ნიმუში არა მხოლოდ იმღერება, არამედ **წრეშიც იცეკვება.** წრეში შესრულებული სუტარტინესი ფერხულებს ჰგავს, რომლებიც ცნობილია მრავალი ევრაზიული ხალხის ფოლკლორში. მათი ერთ-ერთი საერთო ნიშანია უწყვეტი წრე (Николаева, 2007:52–53).

განსხვავებით *trejinės*-ის ციკლური ბუნებისა, რომელიც ასოცირდება წრესთან, *keturinės* წააგავს **კვადრატს.** ანალოგიურად, არქაული რიცხვითი სისტემის კონცეფციაში, დინამიკური ერთობის საპირისპიროდ, რომელსაც სამეული წარმოადგენს, ოთხი აღნიშნავს სტატიკურ ერთობას – იდეალურად სტაბილურ სტრუქტურას (ოთხის იდეის ყველაზე ძლიერი გამოხატულება არის

---

[11] კონტრა-ცეკვების ქორეოგრაფიის ერთ-ერთი ძალიან ძველი ელემენტია ერთი წყვილის წინ მეორე წყვილის სვლა. ქორეოლოგები ამგვარ ცეკვას ერთ-ერთ უძველესად მიიჩნევენ (როგორც დუალისტური მსოფლმხედველობის სიმბოლოს) და მას ნეოლითის პერიოდს მიაკუთვნებენ (Sachs, 1938:107)

კვადრატი). თუმცა, „გარე“ ფაქტორების მიუხედავად (ანტიფონური მღერის პრინციპი (2+2) და მომღერალთა კვადრატული განლაგება), *keturinės*-ის მუსიკა ქმნის უწყვეტი წრიულობის შთაბეჭდილებას, რაც დამახასიათებელია *trejinės*-ისთვის. ამიტომ, კოსმოლოგიური ურთიერთობები *keturinės*, *trejinės* და წრეს შორის, უფრო დეტალურადაა განსახილველი.

იდეალური მთლიანობა, როგორც წესი, გამოიხატება წრის სახით (შეად. მანდალა), და მისი მინიმალური შესაძლო დაყოფა არის ოთხი (სურ. 1) (Юнг, 1995). ცხადია, რომ თითქოს განსხვავებულ სიმბოლურ გეომეტრიულ ფიგურებს – კუთხეებიან კვადრატსა და მრგვალ წრეს შორის ურთიერთობა ძალიან ძველია, რაც არაერთ მკვლევარს აქვს განხილული. წრე ღმერთის სიმბოლოა, ხოლო კვადრატი – ქალღმერთისა, თუმცა „ქალღმერთის“ ნაცვლად შეიძლება ითქვას „მიწა“ ან „სული“. მანდალა, ფსიქოანალიზის მიხედვით, წარმოადგენს „შემრიგებელ, ჰარმონიზებულ სიმბოლოს“ (Юнг, 1991:126). სხვადასხვა არქაულ ტრადიციაში **სამი/ოთხის** ოპოზიცია ინტერპრეტირდება, არა მხოლოდ, როგორც მინიშნება კოსმოლოგიური ნიმუშის ძირითადი სტრუქტურების ურთიერთობაზე, არამედ, როგორც მინიშნება მამრობითი (დინამიკური, აქტიური) და მდედრობითი (სტაბილური, პასიური) საწყისის ურთიერთობაზე (Топоров, 2004:236).

დავუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ, სუტარტინესის მღერის ფორმებს ცეკვის დროს, რომლებიც დაკავშირებულია რიცხვების – **სამისა და ოთხის** – კომბინაციასთან („სამეული მეოთხით“). მათი უმეტესობა *trejinės*-ის ჯგუფშია, მაგრამ სიმღერის კანონური ფორმა, რომელიც დამახასიათებელია სამეულისთვის, აქ სინკრეტულად უკავშირდება ცეკვას, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ოთხ მომღერალს. ერთი დამატებითი მომღერალ-მოცეკვავის ჩართვა ჩვეულებრივ სამეულში შეიძლება ინტერპრეტირდეს კოსმოლოგიურად, როგორც იდეალური მუდმივობისა და სრულყოფილებისკენ სწრაფვა. ყოველივე ამის შემდეგ, მხოლოდ მეოთხე მომღერლის წყალობით იქმნება წმინდა გეომეტრიული ფორმები – **სვასტიკა** და **სეგმენტირებული ვარსკვლავი,** ანუ გარკვეული, იდეალური სტრუქტურები.

ციფრი ოთხის მნიშვნელობასა და მისწრაფებას, ვფიქრობ, ადასტურებს იდუმალი რეფრენი *trys keturiose* („სამი ოთხში“), რომელიც დამახასიათებელია სელის შესახებ სუტარტინესისთვის. ტექსტის თითოეული სტრიქონი, რომელიც იწყება სიტყვებით „სამი ოთხში სელი (დათესილი, გამოკრეფილი...“ და თითქოს გვაგრძნობინებს გარკვეულ დაუცველობას, სრულდება „keturiõs“-ის („ოთხი“) „განმტკიცებით“, რაც, თითქოს წესრიგსა და სრულყოფილებას უზრუნველყოფს (SlS 228–230) (ვიდეომაგ. 11)

იუნგის არქეტიპული რიცხვების ინტერპრეტაციის მიხედვით, როდესაც მეოთხე განზომილება უერთდება დანარჩენ სამს, იქმნება „ერთიანი“, სიმბოლური მთლიანობა (Юнг, 1995). „სამი ღმერთი და ქალღმერთი“,

მითოლოგ გინტარას ბერესნევიჩიუსის აზრით, კლასიკური მოდელია – „სისტემა, რომელიც საუკეთესოდ მუშაობს“ (Beresnevičius, 2004: 161-162). სავარაუდოა, რომ ეს 3+1 სტრუქტურა შესაფერისი იყო არა მხოლოდ სხვადასხვა რელიგიის ღმერთების პანთეონის სტრუქტურირებისთვის, არამედ სხვა, განსაკუთრებული საგნების გამოსახატადაც, რომლებიც სრულ ერთობას განასახიერებენ (სურ. 2). რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურის მისადაგების მცდელობა სუტარტინესის კოსმოლოგიურ კონცეფციასთან, მხოლოდ ვარაუდია.[12]

სუტარტინესის ცეკვის იდუმალი სიმბოლიზმი. ქვის ხანიდან მოყოლებული, სუტარტინესმა შეინარჩუნა მრავალი საიდუმლო, რომლებიც დღემდე ამოუხსნელი რჩება მკვლევართათვის. სავარაუდოა, რომ სუტარტინესის სიწმინდეს ჰქონდა იდუმალი მხარე, რომელიც დაკავშირებულია მის ქორეოგრაფიასთან.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ჯვრის** სიმბოლო სუტარტინესში, რომელიც ცეკვაში იქმნება „ვარსკვლავის“ ფორმით, ანუ **ოთხი მოცეკვავე ხელს იწვდის წრის შიგნით და აკავშირებს მათ ერთ წერტილში**[13] (სურ. 3). მოცეკვავეები, რომლებიც ტრიალებენ გადაჯვარედინებული ხელებით, ქმნიან სვასტიკისმაგვარ ფორმას – ჯვარს მოხრილი ბოლოებით[14] (სურ. 4). **სვასტიკას** აქვს ფოლკლორული სახელი *sūkurėlis* („პატარა მორევი“), რომელიც საუკეთესოდ აღწერს მის დინამიურ ბუნებას (სურ. 5). ეს ქორეოგრაფია, როგორც ცეკვის დროს შეინიშნება, აერთიანებს ყველა მოცეკვავეს ერთი საერთო მიზნისთვის. მათი სულიერი ენერგია კონცენტრირდება სვასტიკის ცენტრში (სადაც ხელები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული) – ერთგვარ ღერძში, რომელიც „ატრიალებს“ მთელ გარემოს ერთიან მორევში და სიცოცხლეს ანიჭებს.

სავარაუდოა, რომ **სეგმენტირებული ვარსკვლავის** სიმბოლოს, რომელიც იქმნება „სამეულის მეოთხით“ ცეკვისას, ასევე სიმბოლური

---

[12] რიცხვები სამი და ოთხი *sutartinės*-ის კოსმოლოგიურ კონცეფციაში, ისევე, როგორც სხვა არქაული კულტურების მითოპოეტურ კონცეფციაში, ერთმანეთთან ახლოს არიან და, შესაძლოა, გარკვეულ კოდირებულ მნიშვნელობასაც შეიცავდნენ. როგორც ჩანს, შეიძლება საუბარი არა მხოლოდ რიცხვით გამოხატულებაზე 3+4, რომელიც წარმოადგენს „მსოფლიო ჯამს“ (7), არამედ ამ რიცხვების ნამრავლზე 3×4 (12), რომელიც, ტოპოროვის მიხედვით, სიმბოლოა იდეალისა, რომელიც აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს (Топоров, 2004:313).

[13] წრეში ამოკაწრული ჯვარი ფართოდაა გავრცელებული ლიტვურ ხალხურ ხელოვნებაში: ქსოვილებზე, ჩუქურთმებზე და სხვ. მრავალ ხალხში ჯვარი ფუნქციონირებს, როგორც უმაღლესი, წმინდა ღირებულებების სიმბოლო (Вундер, 1989:180–183). ჯვრის მითოლოგიური კონცეფცია, როგორც სამყაროს ცენტრალური წერტილისა, მატერიალურ სამყაროს იდეალურთან აკავშირებს (Vėlius, 1983:109).

[14] ცნობილია, რომ სვასტიკა ძველად ფართოდ გამოიყენებოდა ინდო-ირანელების, ხეთების, კელტების, ბერძნებისა და ბალტების მიერ, მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვასტიკა, როგორც უნივერსალური სიმბოლო ბალტების კულტურაში, დაკავშირებულია წარმართულ მსოფლმხედველობასთან (Bluyene 2000: 27).

მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად: საცეკვაო *Treputė martela linelius sėjo* („პატარძალი სელს თესდა“) (SlS 1301a), მოცეკვავეთა თავდაპირველი განლაგების მიხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სრულდება „გასწორებულ ხაზში“, როგორც ეს სლავიუნასის აღწერაშია[15] (ვიდეომაგ. 12); თუმცა, აღმოჩნდა განსხვავებული ქორეოგრაფიული ნიმუში, როდესაც „Trys keturiose“-ს მომღერლები ცეკვას ასრულებდნენ არა სცენაზე (სადაც საჭიროა „ორიენტაცია“ მაყურებლისკენ და „სუფთა“ ხაზი სცენის კიდეზე), არამედ დიდ ოთახში, მაყურებლის გარეშე. ამ ცეკვის დროს, სუტარტინესის გრძელი ტექსტის (სელის დამუშავების შესახებ) შესრულებისას, მოცეკვავეები ნელ-ნელა შორდებოდნენ თავიანთ საწყის ადგილს და ტრიალებდნენ იმგვარად, თითქოს მოძრაობის მრუდებით „ხატავდნენ“ ვარსკვლავის „ქიმებს“. თითოეული მომღერალი დაუბრუნდა თავის საწყის ადგილს სუტარტინესის ტექსტის ბოლომდე შესრულებისა და „წრის“ გარშემოვლის შემდეგ. ამან შექმნა „ვირტუალური“, სეგმენტირებული ვარსკვლავი (სურ. 6) (ვიდეომაგ. 13). აღსანიშნავია, რომ ეს სიმბოლო, რომელიც აქამდე შეუმჩნეველი იყო ქორეოგრაფიაში, მხოლოდ ცეკვისას (ანუ პრაქტიკაში) გახდა თვალსაჩინო (Račiūnaitė-Vyčinienė, 2024:144–145; Urbanavičienė, 1991:12).

ამრიგად, ჯვრის სიმბოლო წრეში, ასევე სვასტიკა და სეგმენტირებული ვარსკვლავი, სუტარტინესის ქორეოგრაფიაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ღრმა მნიშვნელობის მატარებელია, გამოხატავს სამყაროს ჰარმონიას, უნივერსალურ წესრიგს, სიცოცხლესა და ციური სხეულების მოძრაობას.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე სუტარტინესს აქვს ცეკვის ან სხვა მოძრაობების დეტალური, გასაგები აღწერა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ არქაული საგალობლების უმეტესობა წარსულში ცეკვით სრულდებოდა. საცეკვაო სუტარტინესის ბუნება, ალბათ, საუკეთესოდ ვლინდება პრაქტიკულ გამოცდილებაში, სადაც სიმღერისთვის კომფორტული ტემპის არჩევა და ხმების ჰარმონიზაცია ბუნებრივად აღძრავს ცეკვის სურვილს (პირადი გამოცდილებისა და სხვა სუტარტინესის მომღერალთა განცხადებების მიხედვით).

დღეს ეს „ფეთქვადი“ ცეკვა უნდა აღდგეს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სუტარტინესის შემსრულებლებს სურთ, თავიანთ რეპერტუარში რაც შეიძლება მეტი მოძრაობით შესრულებული სუტარტინესი შეიტანონ. ალბათ, დაკარგული ცეკვის აღდგენის ყველაზე მარტივი გზა არის ისეთი

---

[15] ცეკვის აღწერა: „ქალები ერთმანეთის წინ დგანან: ერთი მოცეკვავე ერთ ბოლოში (A), ერთი მეორეში (B), ერთი წყვილი შუაში (CD), რომლებიც პირველები იწყებენ ცეკვას სუტარტინესის სიმღერის შესრულების შემდეგ“ (SlS III: 152).

სუტარტინესის ქორეოგრაფიის გამოყენება, რომელსაც აქვთ ცეკვის სრული აღწერა (თუმცა ისიც მართალია, რომ შემთხვევით შერჩეული ქორეოგრაფია ყოველთვის არ შეესაბამება სუტარტინესის ხასიათს). თანამედროვე საკონცერტო სივრცეები შემოქმედებითად იყენებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ ზოგიერთი სუტარტინესისთვის დამახასიათებელ, ავთენტიკურ ქმედებებს. მხედველობაშ მაქვს: ეკლესიაში მაყურებლის გარშემო სიარული, სცენის უკან გასვლა და დაბრუნება (თითქოს საეკლესიო თემის მინდვრებში რიტუალური ხეტიალის განსახიერებას ახდენენ), რითაც იქმნება „მოძრავი ხმაურის“ სივრცე.

ზოგიერთი ტრადიციული სუტარტინესი სრულდებოდა დიდი ჯგუფების მიერ, რომლებიც წრეში მოძრაობდნენ, სხვადასხვა დღესასწაულის ან ზეიმის დასასრულს. შევნიშნე, რომ წრეში მოძრაობისას, გვერდითი ნაბიჯი ყველა მონაწილეს ეხმარება ერთი ტემპის შენარჩუნებაში[16] (ვიდეომაგ. 14, 15). არის დოლის გამოყენების შემთხვევებიც, თუმცა ეს უცხოა სუტარტინესის ტრადიციული სიმღერისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ *sutartinės*-ის მოძრაობები (ცეკვები), რომლებიც გამოიყენება თანამედროვე პრაქტიკაში და ზოგჯერ სპონტანურად იბადება ღონისძიებების დროს (ან მათგან შთაგონებით), არქეტიპულ ჟესტებსა და ქორეოგრაფიულ ნახაზებს მოგვაგონებს. ეს არის გამეორება ან, როგორც მირჩა ელიადე ამბობს, „იმ დროის“ რე-აქტუალიზაცია (Элиаде, 1987: 50–51).

წყაროები:

PSK – *პუნსკოს და სეინის მხარის მატერიალური კულტურა.* შემდგენლები: იუოზას ვაინა, სიგიტას ბირგელის. პუნსკასი: „Aušra“, 1997.

SlS – *სუტარტინეს: მრავალხმიანი ლიტვური ხალხური სიმღერები.* შემდგენელი: ზენონას სლავიუნასი. ტ. I-II. ვილნიუსი, 1958; ტ. III. ვილნიუსი, 1959.

[16] როდესაც ერთი და იგივე *sutartinė* სამ დიდ ჯგუფში, კანონის ფორმით, სტატიკურად სრულდება, თავს იჩენს ტემპების აცდენა და ორი ჯგუფის პარალელური სიმღერა თანდათან კარგავს სინქრონულობას.

აუდიომაგალითები

აუდიომაგალითი 1. *Paruginė* გალობა „Oi, Kur Genelis Tupėjo“. ასრულებს ჯგუფი **Trys Keturiose** (რაჩიუნაიტე–ვიჩინიენე, დაივა. *Lingo Rito Tatato*, 2015, №2).

აუდიომაგალითი 2. *Paruginė* გალობა „Mart Mart, Martela“. ასრულებს ჯგუფი **Trys Keturiose** (რაჩიუნაიტე–ვიჩინიენე, დაივა. *Lino laikas*, 2008).

აუდიომაგალითი 3. სუტარტინეს სიმღერა სელის დამუშავებისას „Trepute Martela“. ასრულებს ჯგუფი **Trys Keturiose.** ჩაწერილია ვილნიუსის სტუდიაში, 2006.

ვიდეომაგალითები

ვიდეომაგალითი 1. სუტარტინეს სიმღერა „Saulala Sadina“. ასრულებს მ. კ. ჩურლიონის სახელობის სამხატვრო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი (ხელმძღვანელი: დაივა რაჩიუნაიტე). გადაღებულია გინტარას შეპუტისის მიერ, 1993.

ვიდეომაგალითი 2. სუტარტინეს სიმღერა სელზე მუშაობისას „Šiaip Sėjau Linelį“. ასრულებს ანსამბლი **Dijūta** (ხელმძღვანელი: რ. ჟარსკიენე). გადაღებულია ალგის კარაზიას მიერ, 2009 (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 3. სუტარტინეს სიმღერა „Šokinėja Žvirblalis pa Pievų“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose** (ხელმძღვანელი: დაივა რაჩიუნაიტე–ვიჩინიენე). გადაღებულია კარაზიას მიერ, 2009 (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 4. სუტარტინეს სიმღერა „Tu Gervela, Ladoto“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose** (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 5. სუტარტინეს სიმღერა „Išmivedi Vedi Ožį Ant Ulyčios“. ცეკვავს ჯგუფი **Kūlgrinda** (ხელმძღვანელი: ინია ტრინკუნიენე) (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 6. საქორწილო სუტარტინეს სიმღერა „Ažuminė Jurgelis Martelai Mįsłį“. ცეკვავს ანსამბლი **Lauksna** (ხელმძღვანელი: ლორეტა იუციუტე) (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 7. სუტარტინეს სიმღერა „Išvedėmo Ožėlį, Ožį Ant Ulyčios“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose** (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 8. სუტარტინეს სიმღერა „Lioj Trinkeila, Lioj Šokeila“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose** (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 9. საქორწილო სუტარტინეს სიმღერა „Ratu, Bitela, Ratu Ratujo“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose**. საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი *Skamba skamba kankliai*, 1996.

ვიდეომაგალითი 10. სუტარტინეს სიმღერა „Lioj Bajoroita“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose**. (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 11. სუტარტინეს სიმღერა სელზე მუშაობისას „Trys Keturiosi, Linelius Sėjau“. ასრულებს ჯგუფი **Trys Keturiose** (*Linen Times* პროექტიდან). გადაღებულია ლეონას გლინსკისის მიერ, 2007.

ვიდეომაგალითი 12. სუტარტინეს სიმღერა სელზე მუშაობისას „Trepute Martela“. ცეკვავს მ. კ. ჩურლიონის სახელობის სამხატვრო სკოლის ანსამბლი (ხელმძღვანელი: დაივა რაჩიუნაიტე). გადაღებულია 1988.

ვიდეომაგალითი 13. სუტარტინეს სიმღერა სელზე მუშაობისას „Trepute Martela“. ცეკვავს ჯგუფი **Trys Keturiose** (ურბანავიჩიენე, 2009).

ვიდეომაგალითი 14. სუტარტინეს სიმღერა „Rimo Rimo Tūto“. დიდი ჯგუფები, წრეში მოძრაობით. საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი *Skamba skamba kankliai*. გადაღებულია გლინსკისის მიერ, 2018.

ვიდეომაგალითი 15. საოჯახო სუტარტინეს სიმღერა „Lioj Saudailio, Vokaro“. ახალი ქორეოგრაფიული ვერსია, ასრულებს ჯგუფი **Trys Keturiose** და ანსამბლი Ratilio (ხელმძღვანელი: მილდა რიჩკუტე). საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი *Skamba skamba kankliai*, 2024. გადაღებულია კრისტინა აპონავიჩიუტეს მიერ.